გადაწყვეტილება

N გ-21-7/648
09/12/2021

648-გ-21-1-4-202112091148

რადიომოყვარულ ილია სემიჩასტნოვისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-21-9/5142, 26.11.2021) რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ილია სემიჩასტნოვმა, საქართველოში მისი ვიზიტის (2022 წლის 15 იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით) პერიოდში, ქვემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო შეჯიბრებებში სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად, სახმობის მინიჭების თაობაზე.

CQ WW 160m DX Contest CW /28-30 იანვარი 2022წ/
CQ WW 160m DX Contest SSB /25-27 თებერვალი 2022წ/
Stew Perry Topband Challenge / 19 -20 მარტი 2022წ/
CQ WPX SSB / 26 -27 მარტი 2022წ/
CQ –M International DX Contest / 14 -15 მაისი 2022წ/
CQ WPX CW / 28 -29 მაისი 2022წ/

კომისია აღნიშნავს, რომ ილია სემიჩასტნოვს, რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული სარეგისტრაციო დოკუმენტის შესაბამისად, შეუძლია გამოიყენოს სამოყვარულო რადიოსადგური, იგი არის „A“ კატეგორიის რადიომოყვარული და მინიჭებული აქვს სახმობი R3XA.

კომისია აღნიშნავს, რომ ილია სემიჩასტნოვს არის „A“ კატეგორიის რადიომოყვარული, კომისიის 2019 წლის 12 სექტემბრის № გ-19-7/533 გადაწყვეტილებით მინიჭებული ჰქონდა სახმობი 4L9M (2019 წლის 1 ოქტომბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით) და ითხოვს მის დროებით (2022 წლის 15 იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით) მინიჭებას.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^1 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 51^5 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, 51^8 მუხლის მე-3 პუნქტის გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭრისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ ილია სემიჩასტნოვს სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისათვის დანართში (თან ერთვის) მითითებული სიხშირული დიაპაზონები და სახმობი ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად **2022 წლის 15 იანვრიდან 15 ივნისის ჩათვლით:**

რეგისტრაციის №	რადიოსადგურის მფლობელი	რადიოსადგურის განთავსების ადგილი	სახმობი	კატეგორია
T – 084	ილია სემიჩასტნოვი	ფოთი, სოფ. გრიგოლეთი	4L9M	„A“

2. რადიომოყვარული ილია სემიჩასტნოვი, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;
4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების ილია სემიჩასტნოვისთვის გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) ილია სემიჩასტნოვისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ლიცენზირების, ავტორიზაციის და ნებართვების დეპარტამენტს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი